ახალგაზრდა ფორვარდის წვლილი

თბილისის “დინამოს” თამაშით უკმაყოფილო მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს გუნდის არც ერთი გულშემატკივარი. დინამოელებმა დროზე გამოასწორეს ის ხარვეზები, რომლებიც ადრე გაზაფხულზე ჰქონდათ და სეზონის ძირითად ტურნირს სრულ მზადყოფნაში შეხვდნენ. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეგიძლიათ დახედოთ გათამაშების ცხრილს, სადაც კოლექტივი ერთადერთი დაკარგული ქულით პირველ ადგილებზეა და იმ დაკარგული ქულის არსიც კარგად იცით: მოსკოვის “დინამოსთან” თბილისელებმა შესანიშნავად ითამაშეს და მოწინააღმდეგემ მხოლოდ სასწაულით იხსნა ის ძვირფასი ქულა.

რიგით მესამე გამარჯვება მოიპოვა თბილისის “დინამომ” IV ტურში და შეინარჩუნა ლიდერის პოზიციები. იოლ გამარჯვებას ოდესის “ჩერნომორეცთან” არც მოელოდა ვინმე, ვინაიდან ამ გუნდს მდიდარი ფიზიკური შესაძლებლობები აქვს იბრძოლოს ძალების სრული მობილიზებით. მაგრამ მოგება ძალიან გაჭირდა და 2 ქულის აღებას კოლოსალური ენერგია მოუნდა, ამასთან იყო მომენტი, როცა ვაგებდით კიდეც მატჩს: ანგარიში ოდესელებმა გახსნეს.

საერთო უპირატესობა მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან აიღეს ხელთ და მაშინვე შეუდგნენ “ჩერნომორეცის” კარის შტურმს. დაზვერვაზე დრო არ დაკარგულა: შეტევა წარმოებდა ფართო ფრონტით, ფლანგებზე ხშირად გადიოდნენ განაპირა მცველებიც. ცენტრში მუდამ მოქმედებდა აქტიური “საპატრულო” ჯგუფი, გოლის გასატანად ყველაფერი მზად იყო, გარდა… კარში ზუსტი დარტყმისა. წუთი წუთს მისდევდა, სახიფათო მომენტები კალეიდოსკოპური სიხშირით ცვლიდა ერთმანეთს, შედეგი კი არ ჩანდა. კარის უშუალო სიახლოეს, თითქმის მეკარის წინ დაუღალავად ასრულებდა მანევრებს შენგელია. სხვადასხვა მანძილიდან ურტყამდნენ ყიფიანი, გუცაევი, ქორიძე, ჩივაძე. რომენსკი იოლად გამოდიოდა ურთულესი სიტუაციებიდან.

ამ ვითარებაში კვლავ უკვე მერამდენედ თქვა თავისი გადამწყვეტი სიტყვა ახალგაზრდა ფორვარდმა შენგელიამ. სწორედ მისი დაუღალავი, მუდამ აგრესიული მოქმედების შედეგია ის, რომ შესაძლებელი შეიქმნა ოდესელთა გაძლიერებული დაცვის რიგების დაძლევა. ობიექტური სტატისტიკა ნათლად მეტყველებს შენგელიას დიდ წვლილზე თბილისის “დინამოს” წლევანდელ წარმატებაში: სადღეისოდ თბილისის “დინამომ” 4 მატჩში 6 ბურთი გაიტანა, რომელთგან 5 ეკუთვნის შენგელიას. უკეთესი საატესტაციო არგუმენტების მოყვანა სწორედ რომ ძნელია!

მიმდინარეობდა მატჩის 48–ე წუთი, როცა ოდესელებმა ზედიზედ ორჯერ მოაწოდეს კუთხური, მეორე მოწოდებისას ძალზე სწრაფად, ეფექტურად ითამაშა ლეშჩუკმა, დაასწრო ყველას და ახლო მანძილიდან გაგზავნა ბურთი მასპინძელთა კარში – 1:0.

მაგრამ იმავე წუთს, სანამ ტრიბუნებზე ჯერ კიდევ ცხელ გულზე განიცდიდნენ ამ გოლით გამოწვეულ უსიამოვნებას, თბილისელებმა განახორციელეს კონტრშეტევა, შენგელიამ ზუსტად შეარჩია ადგილი და ასევე ზუსტად შეასრულა გადამწყვეტი დარტყმა – 1:1.

გამარჯვების გოლი შენგელიამ გაიტანა რამდენიმე სახიფათო რეიდის შემდეგ, 74–ე წუთზე: წამით მოძებნა ხელსაყრელი პოზიცია. ყიფიანმა ოსტატურად გადასცა მას ბურთი და ახალგაზრდა ფორვარდმა კიდევ ერთხელ უშეცდომოდ შეასრულა თავისი პასუხსაგები როლი – 2:1.

გასული მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად ჟიურიმ სცნო ვ. ლეშჩუკი და რ. შენგელია.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 30 აპრილი, 1978 წ.